ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №25ზ, (ს/კ. 01.12.07.010.048), არსებული ვიტრაჟის მოხსნა და ახლის მოწყობა

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №25ზ, (ს/კ. 01.12.07.010.048), არსებული ვიტრაჟის მოხსნა და ახლის მოწყობა, კონსტრუქციული ნაწილი.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, იგი აგებულია დაახლოებით 2008 - 2010 წლებში. შენობა ოთხ სართულიანია. არ გააჩნია მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოები (კარკასი), სართულშორისო გადახურვა, მონოლითური რკინაბეტონის ფილა.

ადგილზე დათვალიერებამ გვიჩვენა, დღევანდელ პირობებში შენობა ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №25ზ, (ს/კ. 01.12.07.010.048), ფასადის მხრიდან გამოიყურება ასე **(სურ. №1.).** კედლებზე არ არსებობს რღვევისა და ჯდენითი ბზარები, მთლიანობაში ნაგებობა კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია **(სურ. №1.).**

ინტერიერის დათვალიერებამ გვიჩვენა, რემონტის გამო შეუძლებელი იყო ვიზუალური გამოკვლევა (28.01.2025 რიცხვში დაგვხვდა დაკეტილი).

არსებული ვიტრაჟის მოხსნა შესაძლებელია და ახლის მოწყობა.

ინტერიერის დათვალიერება მოხდა 14.02.2025 რიცხვში. არსებული ვიტრაჟი და მისასვლელი კარები მშენებლობის პერიოდის დამთავრების შემდეგ ჩაისვა, რომელიც პროექტით გათვალისწინებული იყო, ამიტომ ლითონის კონსტრუქციებით

მოჩარჩოების პროექტისა და მოჩარჩოებას არ საჭიროებს, რადგან ზემოთ გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის რიგელი **(სურ. №2.). და (სურ. №3.).**



სურ. №1.



სურ. №2.



სურ. №3.

ვიზუალური დათვალიერება - გამოკვლევის შედეგად **ექსპერტ აქვს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:**

1. ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №25ზ, (ს/კ. 01.12.07.010.048), არსებული ვიტრაჟის მოხსნა და ახლის მოწყობა, კონსტრუქციულ ნაწილს, დაზიანებები, ბზარები არ აღენიშნება. შენობის საექსპლუატაციო მედეგობა ვარგისია.
2. ინტერიერში ნგრევისა და ჩამოცვენის მოვლენები მოსალოდნელი არ არის. შესაძლებელია ახალი ვიტრაჟის მოწყობა, გაბარიტები რჩება იგივე. არსებულ ვიტრაჟზე არის სამი ვერტიკალური ტიხარი, ხოლო ახალს ექნება ორი ვერტიკალური ტიხარი. მისასვლელი კარების გაბარიტიც რჩება იგივე, რომელიც არ შეცვლის შენობის მზიდუნარიანობასა და მდგრადობას.
3. ახალი ვიტრაჟის მოწყობა, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ნაგებობას ზიანს არ მიაყენებს, რადგან დატვირთვები არ იქნება კონსტრუქციული ხასიათის.
4. როგორც კვლევიდან ჩანს, არსებული ვიტრაჟის ზემოთ, არსებობს მონოლითური რკინაბეტონის რიგელი და არ საჭიროებს დამატებით გამაგრებებს.

რიგელზე და კედელზე გაილესოს ჩამოცვენილი ნალესის ადგილები ცემენტ - ქვიშის ხსნარით ან წებო - ცემენტით.

სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

ზემოთ აღნიშნული **დასკვნებისა და რეკომენდაციების** გათვალისწინებით შეგვიძლია **დავასკვნათ.**

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №25ზ, (ს/კ. 01.12.07.010.048), არსებული ვიტრაჟის მოხსნა და ახლის მოწყობა, შენობის მზიდუნარიანობაზე და მდგრადობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს, ამ სამუშაოს ჩატარება შესაძლებელია და არის უსაფრთხო, კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობას ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**
მობ. 593 28 34 58 **19.02.2025**

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.12.07.010.048*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: *82011626901*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *195* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 17.01.12

თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. N 25 ბ



საპროექტო ადგილი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

გეგმარების ცვლილება

თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. N 25 ზ

არსებული გეგმა



ფილიალის გეგმარება



არ იცვლება ფასადის არსებული ღიობების გაბარიტები და შენობის კონსტრუქციული დეტალები